ხელშეკრულება №15
(საინფორმაციო მომსახურების შესახებ)
CPV 92400000

ქ. თბილისი

„1“ „თებერვალი“ 2013 წ.

შემსრულებელი, შპს „ახალი ამბები“ -ს საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ (შემდეგში – **„სააგენტო“**) მისი დირექტორის **ზაზა ბუაძის** სახით ერთის მხრივ და რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წარმოდგენილი დეპარტამენტის უფროსის კახა ოქროჯანაშვილის სახით (შემდეგში – **„დამკვეთი“**) მეორეს მხრივ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს“ პუნქტის საფუძველზე (გამარტივებული შესყიდვის საშუალებით), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, სააგენტოს მიერ დამკვეთისათვის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საინფორმაციო სფეროში მომსახურების გაწევა. კერძოდ, სააგენტო ყოველდღიურად მომზადებულ საინფორმაციო ახალ ამბებს (შემდეგში – **„ინფორმაცია“**) გასაცნობად მიაწვდის დამკვეთს, ხოლო დამკვეთი ვალდებულია სააგენტოსთან ანგარიშსწორება განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული წესისა და პირობების შესაბამისად.

2. საერთო პირობები და ხელშეკრულების შესრულების წესი

2.1. ინფორმაციის მიწოდება მოხდება ქართულ ენაზე, ელექტრონული ფოსტის ან ინტერნეტის საშუალებით.

2.2. საინფორმაციო მომსახურება მოიცავს საინფორმაციო ნიუსებისა და ანონსების გასაცნობად დამკვეთისათვის მიწოდებას.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 1 თებერვლიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

4. მომსახურების ღირებულება

4.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ყოველთვიური ღირებულება შეადგენს 200.6 (ორასი ლარი და სამოცი თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით, ხოლო სრული მომსახურების ღირებულებაა 2206.6 (ორი ათას ორას ექვსი ლარი და სამოცი თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

4.4. დამკვეთი შემსრულებელთან ანგარიშსწორებას განახორციელებს ყოველთვიურად ყოველი თვის მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვისთვის მხარეებს შორის გაფორმებული მირებაჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.5. ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. სააგენტო ვალდებულებას კისრულობს:

5.1.1. დამკვეთი უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ყოველდღიური საინფორმაციო მომსახურებით.

5.2. სააგენტოს უფლება აქვს:

5.2.1. ფულის ინფლაციის ან სხვა საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში შეცვალოს მომსახურების ღირებულება, მაგრამ ვალდებულია ამის შესახებ 2 (ორი) კვირით ადრე წერილობით აცნობოს დამკვეთს.

5.3. დამკვეთი ვალდებულებას კისრულობს:

5.3.1. გაწეული მომსახურებისათვის ანგარიშსწორება მოახდინოს სააგენტოსთან, ხელშეკრულებით განსაზღვრულ დრომდე და განსაზღვრული წესის შესაბამისად.

5.3.2. სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაცია გამოიყენოს საკუთარი ინტერესებისათვის და სააგენტოს წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადასცეს მესამე პირებს დისტრიბუციის, გაცვლის, გაყიდვის ან სხვა მიზნით.

5.3.3. სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია იმ კომპიუტერების **IP** მისამართების თაობაზე, საიდანაც დამკვეთი მისთვის მინიჭებული პაროლით (ID) სარგებლობს სააგენტოს ვებ-გვერდით.

5.3.4. სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოყენებისას მიუთითოს ინფორმაციის წყარო (სააგენტოს დასახელება – „ინტერპრესნიუსი").

5.3.5. თუ, დამკვეთის ინიციატივით ვადაზე ადრე შეწყდა ხელშეკრულება, გადაიხადოს გაწეული მომსახურების საფასური.

5.4. დამკვეთს უფლება აქვს:

5.4.1. სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოყენების პერიოდში მოახდინოს მისი თარგმნა ან რედაქტირება იმ პირობით, თუ არ შეიცვლება ინფორმაციის შინაარსი და აზრი.

5.4.2. არქივის შექმნის მიზნით მოახდინოს სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის შენახვა, მათ შორის ელექტრონული სახით.

5.5. თითოეული მხარე ვალდებულია:

5.5.1. ნებისმიერი შეტყობინება განახორციელონ წერილობით. შეტყობინება ითვლება სათანადო წესით გაგზავნილად, თუ იგი ადერსატს გადასცა კურიერმა, გაგზავნილია დაზღვეული ფოსტით, ტელექსით, ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

5.5.2. დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ისეთი ცვლილებების შესახებ, როგორიცაა: – მისამართები, საბანკო რეკვიზიტები, სამართლებრივი ფორმა, ტელეფონი, ფაქსი და ა.შ.

5.5.3. არ გაახმაუროს მეორე მხარის კომერციული კონფიდენციალური საიდუმლო, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ურთიერთთანამშრომლობის შედეგად.

6. პასუხისმგებლობა

6.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

6.2. იმ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, რომელიც ეხება თანხების გადახდას ერთი მხარის მიერ მეორის სასარგებლოდ, მხარეს უფლება აქვს დამრღვევ მხარეს მოსთხოვოს გადასახდელ თანხასთან ერთად გადასახდელი თანხის 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეიძლება შეჩერდეს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას, როგორიცაა: სტიქიური მოვლენები, ხანძარი, წყალდიდობა, ავარია და სხვა დაუძლეველი ძალა, საომარი მოქმედებები, სახელმწიფო ორგანოების აქტები და მხარეთაგან დამოუკიდებელი მოვლენები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან.

7.2. მხარე, რომელსაც წარმოექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

8. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

8.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

8.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

8.1.2. მოქმედების ვადის გასვლით;

8.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, თუ:

ა) მეორე მხარე არ ასრულებს, ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) ერთი მხარე მოითხოვს ხელშეკრულების პირობების შეცვლას, ხოლო მეორე მხარე ამის წინააღმდეგია.

8.2. თითოეული მხარე ვალდებულია ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტამდე, ასევე ხელშეკრულების პირობებში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ, 2 (ორი) კვირით ადრე გააფრთხილოს ამის შესახებ მეორე მხარე.

9. დავის გადაწყვეტა

9.1. მხარეები შეეცდებიან, მათ შორის წამოჭრილი დავა გადაწყვიტონ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით.

9.2. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დამატებითი პირობები

10.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს.

10.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, საიდანაც ორი რჩება დამკვეთს ხოლო ერთი სააგენტოს.

მ ხ ა რ ე თ ა რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი
დ ა ხ ე ლ მ ო წ ე რ ე ბ ი

ს ა ა გ ე ნ ტ ო	*დ ა მ კ ვ ე თ ი*
ქ. თბილისი, იოსებიძის ქ. №49 სს „საქართველოს ბანკი"-ს ც/ფ ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE48BG0000000116262400 ს/კ: 205075014	რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ს/კ 204 548 230 მის: ინგოროყვას 7
დირექტორი: //ზ. ბუაძე//	დეპ. უფროსი: //კ. ოქროჯანაშვილი//